საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკულია ეთერ ირაკლის ასული

ე. კაკულია

კაკულია ეთერ ირაკლის ასული (29. XI. 1942, თბილისი, – 26. VI. 2015, იქვე), საესტრადო მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1983). 1965 დაამთავრა თსუის დას. ევროპის ენისა და ლიტრის ფაკ-ტი გერმანული ენის სპეციალობით. სტუდენტობის პერიოდში კ. აქტიურად ჩაერთო თსუ-ის თვითშემოქმედებაში და უნ-ტის საესტრადო ორკესტრის სოლისტი გახდა. 1969 მიიწვიეს სპი-ის საესტრადო ორკესტრში (ხელმძღვ. – ს. ტუღუში) სოლისტად. 1964-იდან იგი იყო ფილარმონიის, 1975-იდან საქართვ. სახელმწ. ორკესტრ „რეროს" (ხელმძღვ. – კ. პევზნერი), ხოლო 1986-იდან საქართვ. ტელერადიოს სოლისტი. კ-ის მიერ შესრულებული სიმღერებიდან აღსანიშნავია ვ. აზარაშვილის „მზე ჩემი კარგი მეგობარია", ა. ბუკიას „ჭაღარა", ი. ბობოხიძის „ცირა", ი. გურგულიას „უშენოდ", ე. ჭელიძის „თბილისის ქუჩები", ნ. დუღაშვილის „გამიფრთხილდი, გამიფრთხილდი", „შენი თვალები", რ. სებისკვერაძის „მხარე ლამაზი" და სხვ. გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მ. შ. საფრანგეთი, ინგლისი, ჩეხეთი, გერმანია, უნგრეთი, ბულგარეთი, ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ჰოლანდია და სხვ. კ. იყო ბალტიისპირეთის საკავშირო ფესტივალისა (1980) და პოლონეთის ფესტივალ „კაპონეს" (1982) ლაურეატი. მიღებული აქვს საქართვ. ფესტივალ „მეგა-2009-ის" სპეც. პრიზი ნომინაციაში „ყველა თაობის საყვარელი მომღერალი". 2015 თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნა კ-ს ვარსკვლავი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).